მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის საფუძველი და ნორმატიული ბაზა

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შედგენილია სამშენებლო პროცესების დასაგეგმად და ითვალისწინებს ს.ნ.წ. 3.01.01-85-ის "სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის" გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული პროექტის საფუძველზე, მშენებელმა კომპანიამ უნდა შეადგინოს სამუშაოთა წარმოების პროექტი (სწპ), სადაც დეტალურად მოხდება სამუშაოთა დაჯგუფება, აღწერა და შესრულების ტექნოლოგიური ციკლის დამუშავება. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო: დავალებათა პროექტირებაზე; არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტილებები; სიტუაციური გეგმა; საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა; ობიექტის ნატურაში დათვარიელება.

2. სამშენებლო მოედნის და ნაგებობის დახასიათება

საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.19.17.001.044) მდებარეობს ქ. თბილისში ორხევში, ჩანტლაძის ქ. I შესახვევი, № 10-ში, საწარმოო ზონაში (სზ). ნაკვეთი მართკუთხა ფორმისაა, საერთო ფართობით 20000 კვ.მ., სამშენებლო მოედანი განთავსებულია ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და დროებითი ღობით შემოსაზღვრული ფართობი შეადგენს 376 კვ.მ. სწორი ზედაპირით, მცირედი დახრით. ნაკვეთს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ასფალტის გზა (ჩიხი), ხოლო დანარჩენ მხარეებზე ესაზღვრება კერძო ნაკვეთები. მოცემულ ეტაპზე, აშენებულია შენობის პირველი სართული (რკ.ბეტონის კარკასი), პერიმეტრი შევსებულია იზობლოკით, ფასადი შელესილია ქვ.ცემენტის ხსნარით; საინჟინრო კომუნიკაციები შეყვანილია შენობაში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ნაკვეთი განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში. უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით განეკუთვნება II კატეგორიას. რაც შეეხება უგანზომილებო კოეფიციენტს (პნ 01.01-09) მიხედვით - A=0.17, ამიტომ უბნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი. ფიზიკურ-გეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო ნაკვეთის ამგები გრუნტები მდგრადია, უარყოფითი მოვლენები (მეწყერი, ჩაქცევა, სუფოზია და ა.შ) მოსალოდნელი არ არის და შერჩეული ტერიტორია ვარგისია მშენებლობისთვის.

წარმოდგენილი პროექტით საოფისე შენობა ორსართულიანია, გაბარიტული ზომებით 27,05 X 8,65 მ. პირველი სართულების შიდა ფართობია - 242.7 კვ.მ, მეორე სართულის 209 კვ.მ. მათი შორის გარე ბაქნის და პანდუსების ფართობი - 26,70 კვ.მ.. შენობის 0.00 ნიშნული, არსებული რკ.ბეტონის ბაქნიდან აწეულია 20 სმ-ით (საერთო სიმაღლე 7,75 მ. (0.00-დან - 7.55 მ)) და შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს 524.52. შენობა მართკუთხა ფორმისაა, ქანობიანი გადახურვით (სენდვიჩპანელის ფილები), ფასადის შელესვა ქვ.ცემენტის ხსნარით, დაგრუნტვა, დეკორატიული ცემენტის მისხურება და შეღებვა წყალემულსიის, ფასადის საღებავით ორ ფერში: გვერდითი კედლები ღია ყავისფერი, დანარჩენი კედლები ღია რუხი ფერის (თეთრისკენ). ფანჯრები და ვიტრაჟები მოეწყოს მეტალოპლასტმასის (მუქი რუხი ფერის). შესასვლელი კარებები ალუმინის. შესასვლელებში მოეწყოს გადახურვები. მოეწყობა პანდუსები, ლითონის მოაჯირებით. შენობის სტრუქტურულ სისტემას წარმოადგენს რკინა-ბეტონის კარკასი, საძირკველს წარმოადგენს რკ.ბეტონის ფილა, რომელიც მოეწყობა არსებულ ფილაზე (არსებული ფილა ჩაიხვრიტება ლ-10-12 სმ (ბიჯით 50სმ) და ჩაანკერდება დ-12 არმატურები). სართულშუა გადახურვა რკინა-ბეტონის, სისქით 16 სმ, რიგელებით 30X50 სმ. სახურავი სენდვიჩპანელის, ლითონის კონსტრუქციაზე. შემავსებელ პარამეტრზე იზობლოკი 20X20X40 სმ. შიდა ტიხრები თაბაშირ/მუყაოს ფილებით, გარდა კიბის უჯრედის, რომელიც ამოშენდება ტიხრის ბლოკით, შენობის კონსტრუქციული სიმაღლეა 7.75 მ.

3. რეკომენდაციები სამშენებლო მოედნის ორგანიზაციისა და სამუშაოთა წარმოების შესახებ.

უშუალოდ მშენებლობის გაგრძელებას წინ უსწრებს მოსამზადებელი სამუშაოები რაც გამოიხატება: არსებული სახურავის (ლითონკონსტრუქციის ჩათვლით) დემონტაჟი-დასაწყობება, შემდგომი გამოყენებით; და განახლდეს მანამდე შესრულებული პოზიციები: სამშენებლო მოედნის შემოღობვა, დროებითი ელექტროკვების და წყალსადენ/კანალიზაციის ქსელი, აგრეთვე დროებითი ნაგებობები, როგორიცაა სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი, მომუშავე პერსონალის უჯრედი, სანკვანძი, ღია და დახურული საწყობები და ა.შ.

შედგომ წარმოებს მომუშავე პერსონალის და სამშენებლო ტექნიკის მობილიზება, რომლებიც სამუშაოთა დაწყებამდე გადიან შესაბამის ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოებაზე და სამუშაოთა წარმოების სპეციფიკაზე. სამშენებლო პროცესებს ასევე წინ უსწრებს და სამუშაოთა დასრულებამდე აქტუალურია გეოდეზიური სამუშაოები რომელიც უნდა შესრულდეს სნწ 3.02.07-87 “გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში” მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დროებითი ღობეზე უნდა დამონტაჟდეს გამაფრთხილებელი ნიშნები, მათ შორის იმის შესახებ, რომ “მიმდინარეობს მშენებლობა”; “მოძრაობს მძიმე ტექნიკა” და ა.შ. დამკვეთის/მშენებლის შეხედულებით, როგორც უსაფრთხოების დამატებითი საშუალება, შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის კამერების მონტაჟიც.

აქტიური სამშენებლო სამუშაოს დაწყებამდე ასევე მნიშვნელობვანია სამოქმედო გეგმების მომზადება რომელიც როგორც მინიმუმ უნდა მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- შრომის უსაფრთხოების გეგმა;
- გარემოს დაცვის გეგმა;
- ავარიულ სიტუაციებში მოქმედების გეგმა;

სამშენებლო სამუშაოები იწყება, არსებული სახურავის დემონტაჟით (ლითონის კონსტრუქციის ჩათვლით), რომელსაც მოსდევს რკინაბეტონის კარკასის აღმართვა, არსებულ კარკასზე. სამუშაოები გრძელდება სახურავის მონტაჟით კედლების ამოყვანით, ფასადის და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოებით. შესაბამისი ფრონტის უზრუნველყოფის შემდგომ იწყება შიდა საინჟინრო ქსელები.

ნაგებობის გაბარიტული ზომებიდან გამომდინარე შესაძლებელია სამუშაოების წარმოება მობილური ამწის გამოყენებით.

დამკვეთი: CLIENT:	შპს "დიპლომატ ჯორჯია"		პროექტი: PROJECT:	შპს "დიპლომატ ჯორჯიას" ტერიტორიაზე 2 სართულიანი საოფისე შენობის მშენებლობის პროექტი		
შპს ,,მარიალი,, ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.28, ბ3 ტელ: (+995) 2 398110 e-mail: marialibuild@gmail.com			მისამართი: ADDRESS:	თ. ჩანტლაძის I შესახვევი №10		
მარიალი			მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი			
დირექტორი	გ. დადვანი		ნახაზი: DRWG.:			
მთ. არქიტექტორი	მ. ფოცხვერაშვილი					
დაამუშავა	ლ. ხაჟაჟურიძე		სტადია: STAGE:	მასშტაბი SCALE	ინდექსი INDEX	ფურც. რ-ბა PAGES
შეამოწმა			თარიღი DATE:			

4. მშენებლობის ტექნოლოგია, მოთხოვნები ხარისხის მიმართ

სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულდეს წინასწარ შემუშავებული ტექნოლოგიით და მეთოდებით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს შესრულების ხარისხს და მშენებლობის ვადას. მშენებლობაზე უნდა განხორციელდეს ხარისხის მუდმივი კონტროლი, შედგეს ფარული სამუშაოების აქტები. რკინაბეტონის ელემენტების დაბეტონებისას უნდა გაეწიოს კონტროლი ვიბრირებას, დაბეტონების ხარისხს. სამშენებლო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ბეტონის, ასევე ცემენტის და არმატურის ხარისხის ლაბორატორული კონტროლი.

სამუშაოთა წარმართვა აუცილებელია ინსტრუმენტალური კონტოლის ქვეშ, რომელიც ხორციელდება სნწ 3.02.07-87 "გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში" მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მშენებლობა აუცილებელია წარიმართოს დამტკიცებული პროექტის სრული შესაბამისობით. მშენებლობის პროცესში ობიექტური მიზეზებით ნახაზებში ცვლილებების შემთხვევაში გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს ავტორებთან მათგან ოფიციალური ნებართვის გაცემითა და ახალი ნახაზების გამოშვებით. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება აუცილებელია ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით.

მეტალის ელემენტების მოწყობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შედუღების პროცესს. ელექტროდის შერჩევა უნდა მოხდეს გამოყენებული მეტალის ქიმიური შემადგენლობის და მარკის გათვალისწინებით, შედუღება უნდა აწარმოოს შესაბამისი კვალიფიკაციის და სერთიფიკატის მქონე შემდუღებელმა. შედუღებული პირაპირი შემოწმდეს ულტრაბგერის მეთოდით და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა ჩაიჭრას ხელახლა მოხდეს დადუღება. ელექტროდები უნდა ინახებოდეს სპეციალურ ვაკუუმ-პაკეტებსა და საშრობებში. მეტალის კარკასის უნდა დაიფაროს ორი ფენა ანტიკოროზიული საღებავით, შედუღების ადგილები გაიწმინდოს მეტალის ჯაგრისით და ასევე შეიღებოს ორი ფენა ანტიკოროზიული საღებავით.

შენობაში ინტენსიურად გამოიყენება ხის დეკორატიული ელემენტები, მათ შორის ექსტერიერშიც და ამდენად მნიშვნელოვანია შესაბამისად დამუშავების მასალის მოძიება.

ქვემოთ მოყვანილია მოქმედი ნორმები და წესები რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო კომპანიამ სამშენებლო-სამონტაჟო წარმოების დროს:

– სნ და წ111-17-78 "ქვის კონსტრუქციები"
– სნ და წ111-18-79 "ლითონის კონსტრუქციები"
– სნ და წ111-21-79 "სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები"
– სნ და წ3.04.03-85 "კოროზიისგან დაცვა"
– სნ და წ111-28-79 "შენობებისა და ნაგებობების სანიტარული მოწყობა"
– სნ და წ111-29-79 "გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობები"
– სნ და წ111-30-79 "წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება"
– სნ და წ111-33-79 "ელექტროსამონაჟო სამუშაოები"
– სნ და წ111-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა"

5. მშენებლობის ხანგრძლიობა

სამშენებლო სამუშათა ნორმატიული ხანგრძლიობა განისაზღვრება სნწ 1.01.03-85* მიხედვით. მშენებლობის ხანგრძლიობის დადგენისას გათვალისწინებულია სამშენებლო ფრონტი და შეზღუდული სამშენებლო ვადები, რა მიზეზითაც მშენებლობის ვადა განისაზღვრა 8 თვიანი ხანგრძლივობით.

წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით და მშენებლობის კალენდალური გეგმით, გათვალისწინებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რითმით ნაკადური მეთოდების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს მომუშავეთა გადაადგილებას შენობის ცალკეულ ნაწილებზე მათზე დაკისრებული სამუშაოების შესასრულებლად. ცხადია სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია სამუშაოთა შორის ტექნოლოგიური ინტერვალების დაცვა. მშენებლობის ბოლო ეტაპზე იგეგმება ტერიტორიის კეთილმოწყობა

6. შრომის უსაფრთხოებია და ზედამხედველობა

სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოება.

სამშენებლო პროცესების დაწყებამდე მშენებელი კომპანია წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების და ავარიულ სიტუაციებში მოქმედების გეგმას რომელიც მოიცავს ისეთი ძირითადი პრიორიტეტების მიღწევის მეთოდოლოგიას როგორიცაა:

- უბედური შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებელი.
- თავიდან აცილებული უბედური შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- ინციდენტის შედეგად სამუშაოს გაცდენის შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებელი.
- სამედიცინო მკურნალობის შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებელი.
- მმართველობის შემოვლა სამუშაო ტერიტორიაზე მინიმუმ 2-ჯერ კვირაში.
- ზედამხედველის მიერ მეთოდოლოგიის წარმოდგენა და რისკების შეფასება.
- ტრენინგების განრიგის შემუშავება.
- ავტომანქანების ყოველდღიური შემოწმება
- მძღოლებისათვის/ოპერატორებისათვის ტრენინგების ჩატარება.
- აღჭურვილობისა და საწარმოს შემოწმება და მოვლა.
- სამუშაოთა მწარმოებლის მიერ ყოველდღიური ინსტრუქტაჟის ჩატარება.
- შრომის უსაფრთხოების წესების აღსრულების აუდიტი.
- სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი.
- პროექტის თითოეული მომსახურე პირის სამედიცინო შემოწმება.
- არავითარი ზიანი ბუნებას.
- არავითარი რისკი/შეწუხება ადგილობრივ მაცხოვრებლებს.
- არავითარი უსიამოვნება ხმაურის ან მტვრის გამო.

დამკვეთი: CLIENT:	შპს "დიჯლომატ ჯორჯია"		პროექტი: PROJECT:	შპს "დიპლომატ ჯორჯიას" ტერიტორიაზე 2 სართულიანი საცხოვრებელი შენობის მიღწყობის პროექტი		
მარიალი	შ პ ს ,,მარიალი,, ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.28, ბ3 ტელ: (+995) 2 398110 e-mail: marialibuild@gmail.com		მისამართი: ADDRESS:	თ. ჩანტლაძის I შესახვევი №10		
			მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი			
დირექტორი	გ. დადვანი		ნახაზი: DRWG.:			
მთ. არქიტექტორი	მ. ფოცხვერაშვილი					
დამთვალ.	ლ. ხაჯაჯერიძე		სტადია: STAGE:	მასშტაბი SCALE	ინდექსი INDEX	ფურც. რ-ბა PAGES
შეკონწმა			თარიღი DATE:			

აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ყურადღება მიექცეს სახანძრო უსაფრთხოებას, მოეწყოს შესაბამისი სტენდები და პოსტები, დაცული იქნას ჩახერგვისგან გასასვლელები და სახანძრო მანქანის მისასვლელები.
- დაცული იქნას ელექტროუსაფრთხოების წესები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ფეთქებად საშიშ მოწყობილობა-დანადგარებს, ავზებსა და ბალონებს.
- მომუშავე პერსონალს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვაზე, გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერები და ხელმოწერები უსაფრთხოების ჟურნალში. სამშენებლო კომპანიამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირება.
- აღიჭურვოს პერსონალის უსაფრთხოების ინდივიდუალური საშუალებებით (დამცავი ქუდებით, უსაფრთხოების ღვედებით, ხელთათმანებით, სპეცტანსაცმელით და სხვა).
- მიმდებარე ტერიტორია მაქსიმალურად იქნას დაცული სამშენებლო მტვერი გაბნევისგან მტვერდამჭერი ბადეების გამოყენებით.
- შეიზღუდოს ხმაურის გამომწვევი მანქანა-მექანიზმების მუშაობის საათები.
- დროებით ქსელებში ჩართვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მუნიცუპალური სამსახურების ნებართვის საფუძველზე.
- დაუშვებელია ტერიტორიის დანაგვიანება სამშენებლო ნაგვით (ნავთობპროდუქტები, ბეტონი, ქიმიური რეაგენტები და ა.შ).
- მოედანი აღჭურვილი უნდა იყოს პირველადი დახმარების საშუალებებით.

ქვემოთ მოცემულია საქართველის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების ჩამონათვალი რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო კომპანიამ:

- СниП III-4-80 “შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში”
- СниП 31-01-2003 “სახანძრო უსაფრთხოება”
- СниП 2.2.3.1384-03 “სანიტარული მოთხოვნები მშენებლობის წარმოებისას”
- 2006 წლის 25 მაისის №3132 საპარლამენტო კანონის VIII თავი „მუშაობის უსაფრთხოების პირობების შესაბამისობა”.

7. გარემოს დაცვითი ღონისძიებები

სამშენებლო პროცესები უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს გარემოზე მინიმალური ზემოქმედების გათვალისწინებით, რა დროსაც მშენებელი მოქმედებს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

- საქართველოს პარლამენტის კანონი:
  - გარემოს დაცვის თაობაზე, 1996;
  - წყლის გამოყენების შესახებ, 1997წ;
  - მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998წ.
- ქ.თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006წ) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიებების შესახებ.
- СНиП 2.2.3.1384-03 “სანიტარული ნორმები მშენებლობის წარმოებისას”
- ВСН 8-89 “გარემოს დაცვა მშენებლობის პერიოდში”

როგორც დასაწყისში აღინიშნა, სამუშაოთა დაწყებამდე, მშენებელი წარადგენს “გარემოს დაცვის გეგმას” სადაც დეტალურად განიხილება:

- გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- გარემოსდაცვით ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმა;
- ნარჩენების მართვის გეგმა;
- მართვის სისტემა.

ქვემოთ მოცემულია გარემოს დაცვის რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

- შესრულდეს გარემოსდაცვითი ყველა შემარბილებელი ღონისძიება;
- ზედმეტად ნუ შეაშფოთებთ ფლორასა და ფაუნას.
- ნუ გადაყრით ნარჩენებს მდინარეებში, გუბურებში, ტბებში, ბუნებრივ დრენაჟებსა თუ სხვა სენსიტიურ ზონებში. ნუ გადაყრით ნარჩენებს ისეთ ადგილებში, რომლებიც არ არის ამისთვის გამოყოფილი.
- განახორციელეთ სედიმენტების და წყლის ნაკადების კონტროლი, ამისათვის გამოიყენეთ სადრენაჟო თხრილები და ტრანშეები ნაკადების გადაგდებისთვის აქტიური სამუშაო ტერიტორიებიდან;
- მოახდინეთ სათანადო რეაგირება დაღვრაზე – შეაჩერეთ დაღვრის წყარო და დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ თქვენს ზედამხედველს. შეაკავეთ დაღვრა და ამოწმინდეთ აბსორბენტებით. არ გადარეცხოთ დაღვრის ადგილი. ჩაიწერეთ დაღვრილი მასალის ტიპი და რაოდენობა, დაღვრის თარიღი, დრო და მიზეზი, და თუ როგორ იქნა ის აწმენდილი. მოახსენეთ ამის შესახებ ხელმძღვანელობას.
- იყოლიეთ მანქანა-დანადგარები სათანადო მუშა მდგომარეობაში.
- შეინახეთ ნარჩენები ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ყველა კონტეინერს გაუკეთეთ შესაბამისი იარლიყი. საგულდაგულოდ შეინახეთ სახიფათო ნარჩენები დახურულ კონტეინერებში. განათავსეთ სახიფათო ნარჩენები შესაბამისი გადამუშავების ან განთავსების ადგილებამდე, არსებული მოთხოვნების შესაბამისად.
- ცეცხლის დანთება ან რაიმეს დაწვა ობიექტზე აკრძალულია.
- დაუყოვნებლივ შეაჩერეთ მუშაობა და შეატყობინეთ თქვენს ზედამხედველს, თუკი აღმოაჩენთ დაბინძურებული გრუნტს (არაბუნებრივი შეფერილობა/სუნი) ან მიწისქვეშ განლაგებულ ავზებს.
- კითხვების გაჩენის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ზედამხედველს ან გარემოს, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წარმომადგენელს.
- ყველა სამშენებლო მანქანა ობიექტის დატოვებამდე გაირეცხება მისთვის გამოყოფილ ბაქნებზე, მინიმუმ საბურავიდან მოსცილდება ტალახი.
- აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. ამ მიზნით სართულებიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს დახურულ ღარებში და ინვენტარული ტიპის კონუსული ნაგავსაყრელების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება ტვერდამჭერი ბადეების გამოყენება.
- დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.
- გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებ-ლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა - განადგურება.

დამკვეთი: CLIENT:	შპს "დიპლომატ ჯორჯია"		პროექტი: PROJECT:	შპს "დიპლომატ ჯორჯიას" ტერიტორიაზე 2 სართულიანი საცხოვრებელ შენობის მშენებლობის პროექტი		
შპს ,,მარიალი,, ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.28, ბ3 ტელ: (+995) 2 398110 e-mail: marialibuild@gmail.com			მისამართი: ADDRESS:	თ. ჩანტლაძის I შესახვევი №10		
			მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი			
დირექტორი	გ. დადვანი		ნახაზი: DRWG.:			
მთ. არქიტექტორი	მ. ფოცხვერაშვილი					
დამამუშავა	ლ. ხაჯაჯერიძე		სტადია: STAGE:	მასშტაბი SCALE	ინდექსი INDEX	ფურც. რ-ბა PAGES
შეამოწმა			თარიღი DATE:			

8. <u>რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმები</u>

№	დასახელება	მარკა	რ-ბა
1	2	3	4
1	მობილური ამწე	-	1
2	უკუჩამჩიანი ექსკავატორი	ეო-5015	1
3	ბეტონის ტუმბო	-	1
4	თვითმცლელი	სხვადასხვა	3
5	სიღრმითი ვიბრატორი	ს-3698	1
6	გადასატანი კომპრესორი	სო-45	1
7	შესადუღებელი აგრეგატი	სო-48	1
8	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	სო-89	1
9	ელშედუღების აგრეგატი	კომპ,	1
10	ავტოგენის შესადუღებელი აგრეგატი	კომპ.	1
11	ლითონის სახარაჩო ინვენტარი	კომპ.	2
12	კონუსური ტიპის ინვენტარული ნაგავსატარი	კომპ.	1
13	პნევმატური იარაღი (საბურღი, ხრახნი და სხვა)	კომპ	2
14	სხვადასხვა დანიშნულების ხელის იარაღი	კომპ	2

მითითება: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტები შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

დამკვეთი: CLIENT:	შპს "დიპლომატ ჯორჯია"		პროექტი: PROJECT:	შპს "დიპლომატ ჯორჯიას" ტერიტორიაზე 2 სართულიანი სათვისტო შენობის მოწყობის პროექტი		
შ პ ს ,,მარიალი,, ქ.თბილისი, პლ.ყაზბეგის გამზ.28, ბ3 ტელ: (+995) 2 398110 e-mail: marialibuild@gmail.com			მისამართი: ADDRESS:	თ. ჩანტლაძის I შესახვევი №10		
				მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი		
დირექტორი	გ. დადვანი		ნახაზი: DRWG.:			
მთ. არქიტექტორი	მ. ფოცხვერაშვილი					
დაამუშავა	ლ. ხაჯაჯერიძე		სტადია: STAGE:	მასშტაბი SCALE	ინდექსი INDEX	ფურც. რ-ბა PAGES
შეამოწმა			თარიღი DATE:			

CLIENT:	შპს "ფიზიოთერაპიული ცენტრი"				
PROJECT:	პანდემიის პირობებში ბიზნესის ორგანიზების ინოვაციური მოდელი				
ADDRESS:	ქ. ბათუმი I შეზღუდული				

ფორმატი A3	თბილისი 2021 წ.
	დაკვეთა №

მშენებლობის ორგანიზაციის გეგმა-გრაფიკი

N	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები	თვეები																																					
		აგვისტო				სექტემბერი				ოქტომბერი				ნოემბერი				დეკემბერი				იანვარი				თებერვალი				მარტი				აპრილი							
		კვირეები																																						
		1 31	2 32	3 33	4 34	5 35	6 36	7 37	8 38	9 39	10 40	11 41	12 42	13 43	14 44	15 45	16 46	17 47	18 48	19 49	20 50	21 51	22 52	23 1	24 2	25 3	26 4	27 5	28 6	29 7	30 8	31 9	32 10	33 11	34 12	35 13	36 14	37 15	38 16
	I რიგი - მშენებლობის გასაბრძელებლად მოსამზადებელი სამუშაოები																																						
1	არსებული სახურავის (სენდვიჩპანელი) და ლითონკონსტრუქციის დამონტაჟი, დასაწყობება																																						
	II რიგი - ძირითადი სამუშაოები																																						
2	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 7.55 ნიშნულამდე და არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა																																						
3	შენობა-ნაგებობის გადახურვის მოწყობა: არსებული სახურავის ლითონკონსტრუქციის მონტაჟი, გადახურვის მოწყობა არსებული სენდვიჩპანელით, წყალარინების სისტემის მოწყობა, პარაპეტის თავების და ენდაოების ჩათვლით																																						
4	შენობა-ნაგებ.-ის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელის მოწყობა და ტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი																																						
5	შენობა-ნაგებობის შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები																																						

	სამშენებლო-მოსაპირკეთებელი სამუშაოების ხანგრძლივობის ვადა	8 თვე	(35 კვირა)

დამკვეთი: შპს „დიპლომატ ჯორჯია"		მის.: თ. ჩანტლაძის I შესახვევი №8	
შეთანხმებულია დამკვეთთან		ხელმოწერა	
პროექტის სახელწოდება			
შპს "დიპლომატ ჯორჯიას" ტერიტორიაზე 2 სართულიანი საოფისე შენობის მოწყობის პროექტი			
	ქ. თბილისი. ალ. ყაზბეგის № 28. ტელ. 39 81 10 ელ.-ფოსტა: marialibuild@gmail.com		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	გ. დადვანი		06. 21.
მთ. არქიტექტ	მ. ფოცხვერაშვილი		06. 21.
პრ-ის ავტორი	ლ. ხაბაკაურიძე		06. 21.
მასშტაბი			
სტადია		ფურცლები	ფურცელი
პროექტი		17	ა-17